შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“ ეთიკის კოდექსი და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმები

2019 მარნეული

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. შესავალი დებულებანი

1. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ (შემდგომში - კოლეჯი) წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელშიც სტუდენტების/მსმენელების,

მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის თანამშრომლობით იქმნება პროფესიული განათლებისა ერთიანი სივრცე. ერთიანი სივრცე ემყარება სამ პრინციპს: ა) აკადემიურ თავისუფლებას; ბ) სინდისის თავისუფლებას; გ) არჩევანის თავისუფლებას.

2. კოლეჯი თავისი არსით მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიული და ღია საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რისთვისაც საჭიროა ეთიკური ნორმების დაცვა.

3. ეთიკის კოდექსი (შემდგომში - კოდექსი) წარმოადგენს კოლეჯის თანამშრომლებისა და სტუდენტების/მსმენელების ეთიკურიპრინციპების, ღირებულებებისა და ქცევის ფორმულირებას.

4. კოდექსი მიზნად ისახავს დაეხმაროს კოლეჯის თანამშრომლებსა და სტუდენტებს/მსმენელებს იმ ეთიკური საკითხების გადაჭრასა და დადგენაში, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას მათი მუშაობისა თუ სწავლის პერიოდში. აღნიშნული სისტემა მიმართულია ასევე კოლეგებთან, სტუდენტებთან/მსმენელებთან, კოლეჯთან და ეროვნულ თუ საერთაშორისო გაერთიანებებთან ურთიერთობების დარეგულირებისაკენ.

მუხლი 2. სამართლებრივი საფუძვლები

1. ამ კოდექსის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, სხვა ნორმატიული აქტები, კოლეჯის დებულება და შინაგანაწესი.

მუხლი 3. კოდექსის მოქმედების სფერო

1.ეს კოდექსი ვრცელდება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებზე/მსმენელებზე, თანამშრომლებზე და აწესრიგებს მათი ქცევის წესებს კოლეჯის სწავლის და მოღვაწეობის მთელი პერიოდისათვის.

2. ამ კოდექსის მიზნებისათვის სტუდენტად/მსმენელად მიიჩნევა:

2.1. პირი, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, სხვა ნორმატიული აქტების და კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესით სწავლობს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. პირი რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე;

2.3. პირი, რომელიც სწავლობს კოლეჯის უწყვეტი განათლების ცენტრში (ამ მუხლის მე-2 პუნქტის 2.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირების გარდა), სადაც სწავლის დასრულების შემდეგ გათვალისწინებულია შესაბამისი სერთიფიკატის გაცემა;

2.4. პირი, რომელიც კოლეჯში გადის ტრენინგს.

თავი II. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ეთიკის ნორმები

მუხლი 4. კოდექსის ძირითადი პრინციპები

1. კოლეჯის ყველა სტუდენტი/მსმენელი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული მისთვის მინიჭებული უფლებებით.

2. სტუდენტი/მსმენელი იზიარებს კოლეჯის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ღირებულებებს და იცავს ამ კოდექსით დადგენილ ნორმებს.

3. სტუდენტი/მსმენელი აღიარებს კოლეჯის უფლებას, ამ კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ამასთან, იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 5. სტუდენტთა/მსმენლთა ეთიკის წესები

1.ეს კოდექსი სტუდენტისათვის/მსმენელისათვის ადგენს ქცევის საერთო და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ წესებს.

მუხლი 6. სტუდენტთა/მსმენელთა ეთიკის საერთო წესები

1. სტუდენტისთვის/მსმენელისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

1.1.სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ლექციაზე ხმაური, მობილური

ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური და სხვა);

1.2. მოწევა ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

1.3. ალკოჰოლური სასმელების კოლეჯის შენობაში შემოტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;

1.4.კოლეჯის ტერიტორიაზე აზარტული თამაშები;

1.5.ინვენტარით სარგებლობის წესის დარღვევა (მერხებზე წარწერების გაკეთება, კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დაზიანება);

1.6. კოლეჯის ტერიტორიის დანაგვიანება და იერსახის დამახინჯება/დაზიანება; ზ) ბილწსიტყვაობა.

1.7. ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების კოლეჯის შენობაში შემოტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;

1.8. ფეთქებადი და ააალებადი ნივთებისა და ნივთიერებების კოლეჯის შენობაში შემოტანა ან/და გავრცელება, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნიან;

1.9.ძალადობა, ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტები/მსმენელების ან თანამშრომლებისათვის.

2. კოლეჯის პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია, არ დაიგვიანოს ლექციებსა და სხვა სახის სასწავლო ღონისძიებებზე.

მუხლი 7. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული წესები

1. სტუდენტისთვის/მსმენელისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება შემდეგი აკადემიური სიყალბე:

1.1. გადაწერა სხვა სტუდენტის/მსმენელის ნამუშევრიდან, ან გამოყენება ისეთი დამხმარე მასალის რომელიც არ არის დაშვებული შეფასების პროცესში.

1.2. სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წარმოჩენა.

1.3. ხელის შეშლა სხვა სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის სწავლის პროცესში საჭირო რესურსების

დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;

1.4. სხვა სტუდენტისათვის/მსმენელისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა;

1.5. ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა;

1.6. სხვა სტუდენტის/მსმენელის ნაცვლად შეფასების პროცესზე შესვლა, ან სხვა პირის შეგზავნა;

1.7. შეფასების პროცესის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება ან/და გავრცელება;

1.8. სხვა სტუდენტის/მსმენელის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;

1.9.კოლეჯში მონაცემების გაყალბება;

1.10. შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით.

მუხლი 8. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შესაძლო სანქციები

1. დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირი ეთიკის საერთო და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული წესების დარღვევის ფაქტებზე სტუდენტის/ მსმენელის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრა შეუძლია კოლეჯის ნებისმიერ თანამშრომელს.
2. ეთიკის საერთო და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული წესების დაღვევისათვის:

2.1. სტუდენტს/მსმენელს შეიძლება მიეცეს ზეპირი გაფრთხილება;

2.2. სტუდენტს/მსმენელს შეიძლება მიეცეს წერილობითი გაფრთხილება პირად საქმეში შეტანით;

2.3. სტუდენტს/მსმენელს შეიძლება შეუწყდეს სტატუსი.

3. სტუდენტის/მსმენელის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გათვალისწინებული დასჯადი ქმედების ჩადენისას, კოლეჯი დაუყოვნებლივ მიმართავს პოლიციას.

მუხლი 9. დისციპლინური კომისია

1. იმის გადასაწყვეტად, თუ რა სანქცია შეიძლება შეეფარდოს ამ კოდექსით გათვალისწინებული წესების დამრღვევ სტუდენტს/მსმენელს, იქმნება დისციპლინური კომისია.

2. დისციპლინური კომისია იქმნება კოლეჯში დირექტორის ბრძანებით;

3. დისციპლინური კომისიის წევრთა რაოდენობა არის კენტი და შედგება არანაკლებ 5 და არა უმეტეს 7 წევრისაგან.

4. დისციპლინურ კომისიაში შედიან:

   4.1. დირექტორის მოადგილე; 4.2.

   ერთ-ერთი სტუდენტი/მსმენელი;

   4.3. სხვა წევრები.

5. ეთიკის კოდესის დარღვევების განხილვა მიმდინარეობს კომისიის სხდომებზე. სხდომა უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება წევრების ნახევარი მაინც.

6. დისციპლინურ კომისიაზე სტუდენტს/მსმენელს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი ახსნა-განმარტება.

7. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

8. დისციპლინური კომისია საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს დირექტორს.

მუხლი 10. დირექტორი

1.დირექტორს გამოაქვს გადაწყვეტილება, იმის შესახებ, თუ რა სანქცია შეიძლება შეეფარდოს ამ კოდექსის დამრღვევ სტუდენტს/მსმენელს.

2.საკითხის განხილვისას სტუდენტს/მსმენელს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი ახსნა-განმარტება. სტუდენტის/მსმენელის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში საკითხი განხილულ უნდა იქნეს საჯარო სხდომაზე.

3.განხილვის შედეგად დირექტორი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის/მსმენელისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

4.დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილების არ მიღების შემთხვევაში დირექტორმა უნდა მიმართოს დისციპლინარულ კომისიას საქმის თავიდან განხილვის შესახებ.

5.გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ შედის სტუდენტის/მსმენელის პირად საქმეში.

თავი III. პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლებისა და ადმინისტრაციაში დასაქმებული თანამშრომლების ეთიკის ნორმები

მუხლი 11. პროფესიული მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლების ეთიკის ნორმები

1. პროფესიული განათლების მასწავლებლები/პროგრამის განმახორციელებლები კოლეჯის ძირითადი საქმიანობის წარმმართველი ძალაა. ისინი ვალდებული არიან სისტემატურად იღვწოდნენ პედაგოგიური და პროფესიული დონის ასამაღლებლად. ამასთან, მათ ეკისრებათ მოვალეობა მიიღონ აქტიური მონაწილეობა კოლეჯის საზოგადოებრივ თუ საორგანიზაციო საქმიანობაში.

2. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა/პროგრამის განმახორციელებლებმა სწავლების პროცესი უნდა წარმართონ კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამის შესაბამისად.

3. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა/პროგრამის განმახორციელებლებმა არ უნდა დააგვიანონ ლექციაზე/პრაქტიკულ მეცადინეობაზე, მეცადინეობა არ უნდა დასრულდეს დროზე ადრე; არ უნდა გააცდინონ ლექცია საპატიო მიზეზის გარეშე.

4. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა/პროგრამის განმახორციელებლებმა უნდა უზრუნველყონ ობიექტური და გამჭვირვალე შეფასება, დაუშვებელია სტუდენტების/მსმენელების განსხვავება.

5. პროფესიული განათლების მასწავლებლებს/პროგრამის განმახორციელებლებს ევალებათ კოლეჯის სოციალურ და სასწავლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

6. ნებისმიერი სახის კომუნიკაცია პრესასთან ან მედია ორგანოებთან კოლეჯის სახელით წინასწარ უნდა იქნეს შეთანხმებული კოლეჯის უფლებამოსილ პირებთან.

7. კოლეჯში მუშაობის დროს, პერსონალმა უნდა დაიცვას კოლეჯის სახელი და რეპუტაცია როგორც სამსახურში ყოფნის დროს, ისე მის გარეთ.

8. კოლეჯთან შრომითი ურთიერთობის გაწყვეტის შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლები/პროგრამის განმახორციელებლები ვალდებულნი არიან კოლეჯის ოფიციალურ ორგანოს მიაწოდოს იმ მომხმარებლის სახელები და პაროლები რომელიც გამოიყენებოდა კოლეჯის ოფიციალურ ინფორმაციის პლატფორმაზე წვდომისთვის (სოციალური მედია, მონაცემთა ბაზა, კორპორატიული ელ-ფოსტა და ა.შ.).

9. პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლების არასათანადო საქციელმა შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინარული სანქციის დაკისრება.

10. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა/პროგრამის განმახორციელებლებმა თავიუნდა შეიკავონ კოლეჯის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა, თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათი მოვალეობების სრულფასოვნად განხორციელებას.

11. პერსონალმა დანიშნულებისამებრ და ეფექტიანად უნდა გამოიყენონ კოლეჯის შენობა, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვა რესურსები საქმიანობის სრულად განსახორციელებლად.

12. პროფესიული განათლების მასწავლებლები/პროგრამის განმახორციელებლები სამართლიანად და პატივისცემით უნდა მოეპყრონ კოლეჯის ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს/მსმენელს.

13. პერსონალმა დროულად უნდა აცნობონ კოლეჯის ადმინისტრაციას კოლეჯში სამსახურის დატოვების შესახებ.

მუხლი12. კოლეგებთან ურთიერთობა

1. პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლების მიერ ეთიკური ნორმების დარღვევისათვის დაწესებულია კოლეჯის შინაგანაწესით დადგენილი ზომები.

2. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა/პროგრამის განმახორციელებლებმა პატივუნდა სცენ კოლეგის აკადემიურ დამოუკიდებლობას, სამართლიანად და ობიექტურად უნდა შეაფასოს მისი საქმიანობა; კოლეგის კრიტიკა უნდა იყოს კონსტრუქციული; არ უნდა გააკეთოს უხეში და მიუღებელი კომენტარები კოლეგის სწავლების მეთოდებზე, დაუშვებელია კოლეგის დამცირება, შეურაცხყოფა ან ანონიმურად დადანაშაულება.

3. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა/პროგრამის განმახორციელებლებმა თანაბრად და სამართლიანად უნდა გადაინაწილონ კოლეჯის მართვასთან დაკავშირებული მოვალეობები, აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ კოლეგებს პროფესიული განვითარების საქმეში.

მუხლი 13. ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ურთიერთობა

1. პროფესიული განათლების მასწავლებლებსა/პროგრამის განმახორციელებლებსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს შორის უნდა არსებობდეს პატივისცემაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. რომელიმე მხრიდან დაუშვებელია დისკრიმინაცია.

2. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა/პროგრამის განმახორციელებლებმა არუნდა გამოიყენონ ადმინისტრაციის თანამშრომლები საკუთარი გამორჩენის მიზნით, არ უნდა მოითხოვონ კანონით გაუთვალისწინებული შეღავათები და დათმობები, რაც ადმინისტრაციის თანამშრომლებს ეთიკური დილემის წინაშე დააყენებს.

მუხლი 14. ადმინისტრაციის თანამშრომლები

1.ადმინისტრაციის თანამშრომლების მოვალეობაა კოლეჯში შექმნან სასწავლო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მორალური, ფინანსურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო გარემო.

2.ადმინისტრაციის თანამშრომლები პატივს უნდა სცემდნენ კოლეჯსა და მის ტრადიციებს, თანამშრომლებსა და სტუდენტებს/მსმენელებს უნდა მოეპყრონ სამართლიანად და პატივისცემით. ადმინისტრაციის თანამშრომლებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც გამორიცხავს თანამშრომლებისა და სტუდენტების/მსმნელების დისკრიმინაციას სქესისა და ასაკის, რასობრივი, ეთნიკური, პოლიტიკური ან რელიგიური კუთვნილების საფუძველზე.

3.ადმინისტრაციის თანამშრომლების საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას; ხელს უწყობდეს საზოგადოებაში კოლეჯის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას. ამ მიზნით, ადმინისტრაციის თანამშრომლები უნდა ემორჩილებოდნენ კოლეჯის მიერ დადგენილ წესებს, პროცედურებსა და არსებულ კანონმდებლობას.

4.ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, კოლეჯის საჭიროებისათვის, ეფექტიანად უნდა გამოიყენონ კოლეჯის ქონება, სამუშაო დრო, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა რესურსები.

5.ადმინისტრაციის თანამშრომლებმა არ უნდა გაამჟღავნოს პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა ლეგიტიმური საჭიროებისა.

6.ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ეთიკური ნორმების დარღვევისათვის გათვალისწინებულია კოლეჯის შინაგანაწესით დადგენილი ზომები.

მუხლი 15. ეთიკის დარღვევის სახეობები

1.კოლეჯის პერსონალს ეკრძალება სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების მითვისება და გავრცელება ავტორის მიუთითებლად.

2.პერსონალს ეკრძალება მონაცემებისა და ინფორმაციის გაყალბება.

3.კოლეჯი ვალდებულია, მონიტორინგი გაუწიოს სასწავლო საქმიანობის ეთიკურობას და დროული რეაგირება მოახდინოს პერსონალის ქცევის საერთო წესების ყველა გამოვლენილ დარღვევაზე.

4.კოლეჯის პერსონალის ეთიკის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში განმცხადებელი მიმართავს კოლეჯის დირექტორს, რომელიც ქმნის ეთიკის კომისიას 5-7 წევრით. კომისია განიხილავს დაფიქსირებულ დარღვევას.

5.დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ გამოყენებული იქნება შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელი.

თავი IV. დასკვნითი ნაწილი

მუხლი16. დასკვნითი დებულებები

1.პიროვნების პასუხისმგებლობა იზრდება ამ კოდექსის ნორმების განმეორებითი დარღვევის ან დისციპლინური გადაცდომის ხარისხის პროპორციულად.

2.კოლეჯის თანამშრომლების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება დირექტორის ბრძანებით. მიღებული გადაწყვეტილება დაინტერესებულ პირს უნდა ეცნობოს წერილობით.

3.წინამდება კოდექსი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით;

4.წინამდებარე კოდექსის განთავსება ხორცილდება კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას საჯაროდ გაცნობისათვის და აგრეთვე კოლეჯის ვებ-გვერდზე.

5.წინმდებარე კოდექსის გაცნობა ხორცილდება კოლეჯის ყველა თანამშრომლისათვის ინდივიდუალურად. ასევე კოლეჯი უზრუნველყოფს წინამდებარე კოდექსის გაცნობას კოლეჯის პროფესიული განათლების სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის.

6.წინამდებარე კოდექსის გაუქმება, მასში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

7.წინამდებარე კოდექსის გაუქმება, მასში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა დაუყონბლივ უნდა გამოქვეყნდეს დაწესებულების ვებ-გვერდზე. აღნიშნული ცვლილებები არ უნდა ლახავდეს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის და თანამშრომელთა უფლებებს.